# იმერეთი

№ 20

პარასკევი 30 იანვარი 1915 წ.

წელიწადი მეოთხე.

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ. ... კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 7 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.



6 იანვრიდან გამოდის ყოველდღიური

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„იმერეთი“.

გაზეთი ღირს:

1 წლ.—7 მ. 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მ. 10 შ., 1 თვით—4 აბ. საზღვარგარეთ—ორჯერ მეტი.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქუჩა, სახლი მ. ი. გოკიელოვისა.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Кутаисъ, Редакція „ИМЕРЕТИ“.

რედაქციის კანტორაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილ ს 10—2 საათ., საღამოს 6—8 საათამდი.


---

**ქუთაისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ **კვირას**, 1 თებერვალს, საკათედრო ტაძარში დანიშნულია **არქიელის წირვა** და პანაშვიდი განსვენებული მგოსნის

## დიდებული აკაკის

სულის მოსახსენებლად.

წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე.

---

**წმიდა ნინოს სასწავლებლის მოწაფე—ქალები**

აუწყებენ ქუთაისის საზოგადოებას, რომ ... 30 ამა იანვარს, მთავარ ანგელოზის ეკლესიაში 12 საათზე ... იქნება პანაშვიდი საქართველოს ნათელ ვარსკვლავის

## ა კ ა კ ი ს

სულის მოსახსენებლად.

2—1

---

ქუთაისში მყოფი **ქართველი სტუდენტობა** აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ დღეს 30 იანვარს, ნაშუადღევის პირველ საათზე მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი **ქართველი ერის სიამაყის, დიდებული მგოსნის**

## ა კ ა კ ი ს

სულის მოსახსენებლათ.

---

**ქუთაისის ვექილთა კორპორაცია** ამით აცხადებს, რომ, 26 იანვარს, ნაშუაღამევის პირველ საათზე, თავის საგვარეულო მამულში, სახხერეში, გარდაიცვალა საქართველოს უდიდესი პოეტი

## ა კ ა კ ი

პანაშვიდი გადახდილი იქნება შაბათს, 31 იანვარს, დღის პირველ საათზე, მთავარ ანგელოზის ეკლესიაში.

---

სახხერის აკაკის სახ.ლობის სამკითხველოს გამგეობის წევრნი ულრმესის მწუხარებით აუწყებენ ქართველ ერს დიდებული მგოსნის და სასიქადულო მამულიშვილის

## ა კ ა კ ი ს

გარდაცვალებას.

---

**ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოწაფენი** აუწყებენ ქუთაისის საზოგადოებას, რომ დღეს, 30 იანვარს, მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი დაუვიწყარი მგოსნის და მასწავლებლის

## ა კ ა კ ი ს

სულის მოსახსენებლათ.

---


**ამერიკული მწარე ვაზი (rupestris),**

მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასად, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში. თ.

---

ქუთაისი.

თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიამ

დაბეჭდა და გამოსცა გასაყიდათ

**საქართველოს ისტორია,**

მოკლე სისტემატიური კურსი მოზრდილთათვის. უუძველესი და ძველი ისტორია საისტორიო ქარტით. შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. ფასი ყდით 35 კაპ. საწყობი იმყოფება ქუთაისში—გამომცემელთან, თფილისში ქ. შ. წ. კითხ. გამ. საზოგად. მაღაზიაში. თ.

---

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. ქუთაისში**

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველგვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე **კალენდრები 1915 წლის:** ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის **ომის ქარტები** დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი. გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთები.

—— კატალოგები უფასოთ —— თ.

---

გამოვიდა და იყიდება

ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში

**თხუზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.**

ფასი 60 კაპ. წ.

---

ს. ს. **ი. გოკიელის** შ-ბის ქუთაისში

ერთადერთი წარმომადგენელი მთელი ამიერკავკასიის ცნობილი

**აბრეშუმის ჭიის თესლის**

**ხ. ხრისტოდულიდის** ამით აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ **ახლო მომავალში დაიწყება დაკვეთა ზემოაღნიშნულ ფირმის აბრეშუმის თესლზე.**

**ფასი და პირობები ცალკე გამოცხადებული იქნება.** თ.

---

**ჭიანჭველის ბუნებრივი სპირტი.**

ჭიანჭველის ზეთის მიმატებით, როგორც იშვიათი ძველ დროს ხალხისაგან ნაცადი საშუალება, საარაკოთ არჩენს თვით ძვალ-რბილში გამჯდარ ქარებს.

თითოეული ფლაკონის ფასი 1 მ. 50 კ., 2 მ., 2 მ. 50 კ. და 3 მან.

—— ყოველ ფლაკონს თან ახლავს დარიგება. ——

ფოსტის ადრესი: ქ. კალუგა, ტიბეკინოს მამული, **დიმიტრი დიმიტრის ძე კარპოვი.**

---

**ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელი**

**ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. (თ).

---

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

---

**კბილის მენაღარიშვილი და ტრუფაექიმები. ნოვა.** დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით.


---

## აკაკის გლოვა.

უკანასკნელი წუთები განსვენებული პოეტისა ასეთი იყო: 25 იანვარს დილის 5 საათზე აკაკის გულის რევა დაუწყო, ენა დაეკარგა. ახლათ დაეცა წვეთი და გარდაიცვალა 25-დან 26-ის ღამეს 12 საათსა და 55 წუთზე; განსვენებული სიკვდილის რამდენიმე საათის წინად სიკვდილის მოახლოვებასა გრძნობდა, მაგრამ სიკვდილისა სრულიად არ ეშინოდა.

**სახხერე.** აკაკის ანდერძში უწერია, სახხერეში დამასაფლავეთო; მაგრამ შვილსა და ნების აღმსრულებლებისთვის სიკვდილის დროს უთქვამს, თუ ხალხი, რომელსაც მთელი ჩემი სულით ვეკუთვნი, მოისურვებს, დამასაფლაოს იქ, სადაც თვითონ საჭიროდ დაინახავსო. სახხერის კომიტეტი, შვილის ნებართვით, უერთდება საერთო დადგენილებასა და სურვილს—აკაკი დაკრძალულ იქნას ტფილისში, ქართული ცხოვრების ცენტრში, სადაც უნდა მოხდეს ეროვნული დაკრძალვა. სახხერელები და მოგვარენი ემზადებიან, რათა რაც შეიძლება კარგადა სცენ პატივი დიდებულ ცხედარს. ყოველის მხრიდან აუარებელი დეპეშა მოდის. მოქანდაკემ იაკობ ნიკოლაძემ გიპსით გადიღო სახე და მარჯვენა ხელი განსვენებული პოეტისა.

——

აკაკის გარდაცვალების გამო შემდგარი თფილისის კომიტეტი, რომელიც ქუთაისში შემდგარ კომიტეტთან ერთად ხელმძღვანელობს აკაკის დაკრძალვას, ყოველ დღე მართავს კრებებს. კომიტეტმა საქმის გასაადვილებლათ აირჩია ბიურო და განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა როგორც დაკრძალვის ცერემონიალის შედგენა, ისე ღონისძიების მიღება, რომ დაკრძალვის დღეს სამაგალითო წესიერება იქნას დაცული.

თანახმად განსვენებულ პოეტის სურვილისა კომიტეტი არავისაგან არ მიიღებს გვირგვინებს აკაკის კუბოს შესამკობად. გვირგვინების ნაცვლად მსურველთ შეუძლიათ ფული შესწირონ ქართულ სახალხო სიტყვიერების ფონდს, რომელიც არსებობს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან.

ბევრს განზრახვა აქვს, შეამკოს განსვენებულ მოამაგის კუბო ცოცხალ ყვავილებით.

სიტყვიერების ფონდის სასარგებლოთ ფული უნდა გადაეცეს აკაკის ცხედრის დაკრძალვის გამგე კომიტეტს, რომელსაც ყოველ დღე, საღამოს 8 საათზე, კრებები აქვს თფ. გუბერნიის თავად-აზნაურობის დეპუტატთა და წინამძღოლთა საკრებულოში (ბელინსკის ქ., 2).

კომიტეტმა დაადგინა, დაკრძალვის დღისთვის დაბეჭდოს სურათი და ბიოგრაფია აკაკისა რამდენიმე ათი ათასი ცალი და ხალხს უფასოდ დაურიგოს.

საქართველოს დიდების აკაკის ნეშთს ორშაბათს, 4 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათზე თავის მამულიდან მოასვენებენ სახხერის სადგურზე, სადაც კუბოს დასტოვებენ მეორე დილის 6 საათამდი. კუბოსთან მორიგეობით იდგებიან ქართულ კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი. ხუთშაბათს, ხუთ თებერვალს, დილის ექვს საათზე კუბოს შორაპნის სადგურით თფილისს წამოასვენებენ. შორაპნის სადგურიდან კუბოს წამოასვენებენ დაახლოვებით დილის 10 საათზე მატარებლით № 4. რკინის გზის სადგურებზე სამგლოვიარო მატარებელს დაუხვდება ხალხი სამღვდელოებით.

მატარებელი ძვირფას ნეშტით თფილისს ჩამოვა ხუთშაბათს, 5 თებერვალს, საღამოს 6 საათზე. კუბოს დაუყოვნებლივ წაასვენებენ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. ცხედარი აქ დატოვებულ იქნება დასაფლავების დღემდე, ე. ი. კვირა, 8 თებერვლამდე.

დასაფლავება დანიშნულია მამადავითის მთაზე ილიას საფლავის გვერდით.

უბედურ შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად, რაიც მოსალოდნელია დიდძალ ხალხის შეჯგუფებისაგან, ქვაშვეთის ეკლესიასა და მის გალავანში და აგრეთვე მამადავითის მთაზე მიუშვებენ მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც ექნებათ კომიტეტისაგან მიღებული საგანგებო ბილეთები.

სიტყვების რიცხვი განსაზღვრული იქნება. ლაპარაკის დროც განსაზღვრული იქნება 10 წუთით. სიტყვის თქმის ნება მიეცემათ მხოლოდ კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლებს და დეპუტაციებს.

დასაფლავების დროს წესრიგის დასაცავად არჩეულია საგანგებო ბიურო.

ხალხის უწესურობის თავიდან ასაცილებლად მამადავითის მთის ყურის იქით არ გაუშვებენ. საფლავის თავზე სიტყვები არ იქნება წარმოთქმული.

სიტყვები წარმოთქმული იქნება მთის ყურის დასაწყისში.

კუბო განსვენებულის ნეშტით სამის დღის განმავლობაში, დაკრძალვის დღემდე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც ყოველდღე იქნება პანაშვიდები.

დასაფლავების შემდეგ ყველა მსურველს საშუალება მიეცემა ნახოს დიდებულ მამულიშვილის საფლავი.

დასაფლავების დაწვრილებით წესრიგს კომიტეტი ხვალ გამოაქვეყნებს.

**ქართულ პრესის** წარმომადგენლად აკაკის ნეშტის დაკრძალვის გამგე კომიტეტში არჩეულ იქმნა პუბლიცისტი ნოე ჟორდანია.

— —

28 იანვარს, საღამოს 8 საათზე, შოთა რუსთაველის სახელობის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დარბაზში მოხდა არაჩვეულებრივი კრება ამავე სამკითხველოს სამზრუნველო კომიტეტის წევრებისა. საქართველოს დიდების აკაკის გარდაცვალების გამო.

კრებამ ერთხმათ დაადგინა: 1, გაიგზავნოს სამგლოვიარო დეპეშა ადგილობრივ გაზეთ „იმერეთ“-ში, 2, გადახდილ იქნეს პანაშვიდი კვირას, 1-ლ თებერვალს, დღის 1-ლ საათზე, ზემოთხსენებულ წიგნთ-საცავ სამკითხველოს დარბაზში, (ქუთაისი, ბალახვანის ქუჩა, სახლი ფ. გორგიძისა); 3, კრებამ ერთხმათვე აირჩია თავისი წარმომადგენელი, რომელსაც მიენდო დაესწროს აკაკის ნეშტის გამოსვენებას საჩხერიდან და მის დაკრძალვას თბილისში.

# სამგლოვიარო დეპეშები და წერილები.

**პეტროგრადი.**

მოწიწებით მუხლს ვიდრეკ დიდებული მოხუცის ნეშტის წინაშე; მან მიანიჭა უკვდავება საქართველოს და გაალღვა იგი დროებითი ძილისაგან.

ვლადიმერ მიქელაძე.

— —

**მინერალნია ვოდი.**

ღრმა მწუხარებით ვგლოვობ საყვარელი სამშობლოის დიდი მგოსნის გარდაცვალებას. გოგოლაშვილი.

**შესწყდა ჟღერა ჩონგურისა!**

ამ ექვსი წლის წინათ თუ საქართველოს ყოველი კუთხე მხიარულობდა, და ყველა, დიდი და პატარა, განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა, უსაზღვრო სიხარულს ძღვნიდა ჩვენი საყვარელი მგოსნის მოღვაწეობის 50 წლის იუბილის გამო, რაც გაგრძელდა თითქმის ორ წელიწადს და დამთავრდა მგოსნის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობით 1912 წელში, დღეს იგივე კუთხეები და მათი მცხოვრებნი, უზომო მწუხარებას გრძნობენ დიდებული მგოსნის გადაცვალებისა გამო. დიახ, მწუხარების ზეწარი გადაეფარა სამშობლო ქვეყანას! ქართველმა ერმა დაჰკარგა თავისი მოამაგე მამა მთავარი, ღირსეული ქრისტეფერი, ტკბილად მომღერალი, გამამხნევებელი და გამაფხიზლებელი მგოსანი, ამიტომ ყველას გვართებს გლოვა-ტირილი!...

დიდო მგოსანო! ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავს დასტრიალებდი შენ სამშობლოსა და ერს; ამ ბოლო დროს, როდესაც დაინახე მათი გათვითცნობიერება და გამოფხიზლება, მიუხედავად იმისა, რომ მოხუცი იყავი, სიხარულით თითქო გაყმაწვილდი, და რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დროს, როდესაც ერთმა მღვდელმა გადღეგრძელა და გიწოდა „მხცოვანი“, შენ სიცილით უპასუხე: „ყველაფერი მართალი სთქვი, ხოლო ერთი ტყუილი გამოურიეთ, რომ მე „მხცოვანი“ მიწოდეთ; მართალია ძლიერ მოხუცი ვიყავი, მაგრამ ახლა, რაც რომ დავათვალიერე, სრულიად გამოვიცვალე და გავყმაწვილდი იმის გამო, რომ აქ ვხედავ გამოღვიძებულ ხალხსა“. თუმცა ხალხს გამოღვიძებულს ხედავდი და ნუგეშობდი, მაგრამ გულში კი ნატრობდი შენი სამშობლოს მდგომარეობის გაუმჯობესობას, გწყუროდა ორი-სამი წლის სიცოცხლე კიდევ, რათა ხანდახან მოგემართა ნელა-ნელა შენი ჩონგურის სიმები, მაგრამ აღარ გაცალა სიკვდილმა, დღეს შესწყდა ჟღერა შენი ჩონგურისა, მოიშვა სიმებმა და მათი შეწყობილი ხმით წკრიალის მაგივრათ გულსაკლავი კვნესა გვესმის!.. მეც, შენი ნიჭის პატივისმცემელი, ვიზიარებ ამ კვნესას, თანაუგრძნობ სამშობლო ქვეყნის მწუხარებას და მუხლმოდრეკით ვეამბორები შენს გაცივებულ შუბლს!

ლადო პაპინაშვილი.

— —

მთელ საქართველოს ერთან ერთად ჩვენც, ქალ. ქუთაისის პირველდაწყებითი მესამე სასწავლებლის მასწავლებელნი და მოსწავლენი ცხარე ცრემლებს ვაფრქვევთ ქართველი ერის ერთგული ქრისტეფერის, ძვირფასი აკაკის დაკარგვის გამო.

მასწავლებლები: ნ. მესხი, მარიამ ლამბაშიძე, ნინო ცაგარეიშვილი, ი. ლორთქიფანიძე და ლ. ნაცვლიშვილი.

— —

ჩემდამი რწმუნებული ოთხვის იოანნე ნათლის მცემლის ეკლესიის კრებული და მრევლი ღრმა მწუხარებას აცხადებს საქართველოს დიდებული შვილის აკაკის გარდაცვალებისა გამო.

დეკანოზი ი. წერეთელი.

— —

ქუთაისის შოთა რუსთაველის სახელობის წიგნთსაცავ-სამკითხველოს სამზრუნველო კომიტეტი ღრმად მწუხარებს ქართველ ერის საყვარელ დიდებულ აკაკის მიცვალებას, გულწრფელ ცრემლებს აფრქვევს მის ჯერ კიდევ გაუცივებელ ნეშტს და სამშობლოს ქვეყნის გლოვას უერთებს თავის ხმას.

**კომიტეტის წევრები:** მღვდლები: სპ. ლეკვეიშვილი, კონ. შანიძე; მ. თაყაიშვილისა, ვერა კოსტავასი, სილოვან ლაშქარაძე, ნიკ. მესხი, ილია მაჭავარიანი, პეტრე ანთელავა და სერაპ. სოხაძე.

— —

ძაძით მოსილ საქართველოსთან ერთად დავტირი საუკეთესო სახელოვან ერის შვილს, ვარსკვლავს საქართველოისას, სულმნათ მგოსნის აკაკის გარდაცვალებას.

საქართველომ კიდევ დაჰკარგა მისთვის ჩანგის მკვნესარე უერთგულესი შვილი. ის მოკვდა, მაგრამ მისი „ნანით“ აღზრდილნი საქართველოს ასულნი არას დროს არ დაივიწყებენ მხცოვან მგოსანს.

ვერა დუდაძის ასული.

— —

ჩვენი სამშობლოს ეროვნული სიამაყის, მგოსნის აკაკის დაკარგვით სოფ. ხორჩანის აზნაურობა დიდ მწუხარებაში ჩავვარდით, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ დიდი მგოსნის ჰანგები, რომელსაც პაწია ბავშვები დედის ძუძუს წოვის დროსვე სწავლობენ, საშვილიშვილოთ უკვდავ დარჩება...

მაქსიმე ივ. ასათიანი.

— —

ქუთაისის ქალთა სავაჭრო სასწ. მოწაფენი გულდამწვარნი ვიზიარებთ საერთო გლოვას დიდებულ მგოსნის აკაკის გარდაცვალების გამო, დავკარგეთ აკაკი და მასთან ერთი საუკეთესო სულიერი მასწავლებელთაგანი, რომლის ნათელ ხსოვნასთან დაკავშირებული იქნება ის იდეალიც, რომელიც მან დაგვისახა ქართველ ქალებს.

ტკბილათ განისვენე ძვირფასო აღრმზდელო მგოსანო! ვეცდებით შენი ნაანდერძევის აღსრულებით უკვდავი ვყოთ შენი სახელი.

— —

მიხეილის სააზნაურო ბანკის გამგეობამ ასეთი ტელეგრამა გაუგზავნა დღეს თ. ალექსი აკაკის ძე წერეთელს ღ. საჩხერეს.

სააზნაურო ბანკის გამგეობა და ყველა მოსამსახურენი სთხოვს თქვენს ბრწყინვალებას მიიღოს ღრმა და გულწრფელი მწუხარება ქართველი ხალხის შეუდარებელი პოეტის, საქართველოს საუკეთესო შვილის, ქართველი ხალხის სიღმერთებელის აკაკის სიკვდილის გამო, რომელიც ორმოცდა თექვსმეტი წლის განმავლობაში თავის გულში ატარებდა ქართველი ხალხის აღთქმათა და საუკეთესო ნატვრათ.

მეორე ტელეგრამა გაუგზავნა ამავე გამგეობამ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას თფილისში.

მიხეილის ბანკის გამგეობა და ყველა მისი მოსამსახურენი ერთსულოვნათ გამოსთქვამენ თავის უზომო დარდს დიდი მგოსნის აკაკის, ამ ერთი საქართველოს უდიდეს შვილის სიკვდილის გამო. მისი სახით საქართველო მოაკლდა ერთ ზეშთაგონილ გამომხატველს თავის ძვირფას გრძნობათა. ის მთელი ორმოცდა თექვსმეტი წელიწადი დაუღალავათ უმღერდა თავის საყვარელ საქართველოს და ღვთაებრივ წინასწარმეტყველის სიტყვით, წმინდის ვით სარკე და თავისუფალის ვით თვით ზეშთაგონება ეხმაურებოდა ქართველ ხალხს, რათა განეხორციელებინა აღთქმული ოცნებანი, რომელნიც მან შემოსა რეალურის ფორმით.

# უკვდავება.

ბუნებამ ჯერი მიიწყო!.. ქართველი ერის ისტორია კვლავ ერთი უდიდესი შენაძენით გამდიდრდა!

— შარავანდედ-მოსილი ბრწყინვალე მოხუცი თავის არა ნაკლებ სხივოსან წინაპრებს წარუდგა, რომ საქართველოს კეთილი მომავალის „გიხაროდენი“ გადასცეს მათ.

მისი ღვთაება—თამარ, ნინო და ქეთევანი—და სრულიად საქართველოს უკვდავნი „კურთხეულარსით“ მიეგებებიან: „მოდი ღირსეულო შვილო, და დაიმკვიდრე სამოთხე საქართველოსიო“.

მგოსანი ხომ ასე ხშირათ მოუხმობდა მათ; გამუდმებით იწვევდა მათ დიდებულ აჩრდილებს; დაუკადებლათ მივავხედებ-და იმათკენ, რომ მათი შუქმოსილობით და ჰირნახულობის განცდით საქართველოს უკეთესი მომავალის გამოსაჭედათ ავეგზნეთ!..

**ფუტკარი**—ეს „ზეციურ... ქვეყნის მუშა“, მოუსვენრათ თავს დასტრიალებდა მთელს საქართველოს: შხამავდა მის ორგულთ, ამხნევებდა ერთგულთ და საწადმართოდ იწვევდა გზა დაბნეულთ.

სამშობლოს ხატება განაბრწყინა,—ნახევარი საუკუნის განმავლობაში მის წინ სანთლად ენთო და კიდით-კიდე აშუქოსნებდა მას.

და დადნა... დაიწვა... ბუნებრივათ!..

და რომ არ დამწვარიყო, ვერც სინათლეს გამოსცემდა: აკი თვითონვე გვიკარნახა: „რაც არ იწვის, არ ანათებს და უჩინრათ კვდება ნელაო?“..

სანთლად რომ დადნა, სწორეთ ამით შეიმოსა უკვდავება!..

აკაკი უკვდავია! სიკვდილის ხელი მას არ შეხებია და ვერც შეეხება!..

დიდო მოძღვარო! საქართველოს—ამ შენი სანაწილე ხატის წინ, ლოცვაში დაბერებულო, იხაროს სულმა შენმა, ოდეს პირის პირ იხილო უკვდავნი შენის ქვეყნისანი, და მათთან ერთად იშვებდე, ოდეს

დ. თომაშვილი.

# დიდი აკაკის დაკრძალვის გამო.

(მცირე შენიშვნა) *)

ჩვენი ქვეყნის სასიქადულო მგოსნის აკაკის დასაფლავება თფილისში მთაწმინდაზე, როგორც ამბობენ უკვე გადაწყვეტილია, მაგრამ რადგანაც ჯერ ეს გადაწყვეტილება სისრულეში არ არის მოყვანილი, ამიტომ კარგი იქნება ჩვენი საზოგადოება ერთხელ კიდევ გადასინჯავდეს ამ დიდ მნიშვნელოვან საკითხს. მე ის მინდა ვსთქვა, რომ მთაწმინდა შუაგულ ქალაქიდან ერთობ შორს არის და ძლიერ აღმართ ადგილზეა, რისგამო ყველას მეტათ ეძნელება იქ ასვლა და ჩვენი საყვარელი და დიდებული ადამიანების დიდი ილიას და დიმიტრი ყიფიანის საფლავების და ძეგლის ნახვა. დიახ, თუ კაცი საგანგებოთ არ ავიდა მთაწმინდაზე, ისე ვერავინ მოხვდება იქ და, მაშასადამე, ისე გაივლის თვეები და წლები, რომ ათასში ორი ქართველი

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, იმიტომ რომ საშუალება მივცეთ ავტორს საკუთარის აზრის გამოთქმისა. **რედ.**

# გამზრდელი.

ნამდვილი ამბავი.

**პოემა აკაკისა.**

I

მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად,
მერცხლის ბუდეთ რაღაც მოჩანს;
თვალთ ისარი შენატყორცი,
ვერ არჩევს მის სიგრძეს და განს.

ის ფაცხაა, ღვიმის პირად
მიწნული და მიგრეხილი,
დრო და ჟამის შესაფერად—
ზამთარ თბილი, ზაფხულ გრილი.

როდესაც მთა, ბარს და ვაკეს
ემუქრება წარღვნა ღელვას,—
ფაცხაც ღრუბელს გარს იბურავს,
ეკრძალება ჰქარ ელვას.

მაგრამ, როცა ღიქათქათებს
თავზე იქვე მზე და მთვარე
და თვალის წინ ფიანდაზად
ეფინება არე მარე,

მაშინ ფაცხა სიმარტივით
მომხიბლავად ლამაზია,
და იმასთან ყველა სტყუის,
რაც კი ციხე-დარბაზია.

გზა მიუძლვის საცალფეხო,
მიხვეული, მოხვეული;
მასზე გამვლელს უნდა ჰქონდეს
მარჯვე თვალი, მტკიცე გული;

ანუ ჰყავდეს რაში, ცხენი,
მთაში გაზდილ-გამოწვრთნილი,
კლდიდან კლდეზე გადამფრენი,
უშიშარი და თან ფრთხილი.

ამ შორეულ ფაცხა ღვიმეს
ვინ პატრონობს, ვისი არის?
და საამო კარ მიდამოს
ვინ შეტრფის და ვინ შეხარის?..

ერთი ვინმე ახალგაზდა
აფხაზია, ამ მთის შვილი,
რაჟულ-ცხოვრების უარ მყოფი,
მცირედითაც კმაყოფილი.

კარგი თოფი, კარგი ხმალი,
კარგი ცხენი და ნაბადი!..
რას ინატრებს სხვას ამის მეტს
კაცი, მისებრ დანაბადი?

მხოლოდ ერთს კი... და ის ერთიც
არის მარტო სიყვარული,
რითაც მხოლოდ ქვეყნიური
ნეტარება არის სრული.

ბედმა ესეც არ დააკლო,
განასხვავა, ვით რჩეული...
სიყვარულსა, მის მინაშუქს,
მოაშუქა სიყვარული:

ერთი თვეა, რაც რომ ცოლათ
მიიყვანა ვინც უყვარდა,
ვისაც გულში ცასქვეშეთი
შეუწონა, შეუფარდა...

ნაზი ბროლა—სახელია,
სამეგრელოს ასულია,
მოწყვეტილი ცით ვარსკვლავი
ედემს ალვად ასულია!

ელ-ფერობით ვარდი არის,
სინაზით-კი—მორცხვი ია...
ტრფობისათვის ჯერ პირველათ
გულის კარი გაუღია.

ცა და ქვეყნის შუამავლად
მიაჩნია მას აფხაზი!..
გულში გულს სდებს, სულში სულს ცვლის
ხორცს ეწმახვნის სურო-ვაზი!..

ნეტავი მათ!.. მათ სიყვარულს
და მათ უხმო ალსარებას!..
ერთად გრძნობენ ამ ქვეყნადვე
სასუფევლის ნეტარებას...

მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი
გაახარებს ვისმე განა?
თაფლში ურევს მწარე ნაღველს,
მტრისას მისი გამოცანა!..

II.

ბნელა ისე, რომ აღარ ჩანს
თითი, თვალთან მიტანილი!..
ცა მრისხანებს, ელვა-ჰექამ
ნადირსაც კი უფრთხო ძილი!..

ქარი ზუის გულ-საკლავად,
წვიმა უშვებს კოკის პირად;
ხან აქ, ხან იქ მთა-ღრეებში
გავარდება მეხი ხშირად.

თითქო მართლა თვით ჯოჯოხეთს
აუშვია ქვეყნად ზარი!
აიტანა შიშის ქარმა
თანასწორად მთა და ბარი!

ამ დროს ხოლმე თვით ეშმაკიც
ეძებს ძრწოლით თავ-შესაფარს,
მაგრამ, დახეთ, ვიღაც მგზავრი
სტუმრად მიდგა აფხაზის კარს!!...

დაურეკა და ხმა მისცა:
— „გამომხედეთ!.. ვინ ხართ შინა?
ტუმარი ღვთის, კარზე ვდგავარ,
ცხენს და კაცსაც გვინდა ბინა“.

გაუკვირდა აფხაზს და თქვა:
„ამ თავსხმაში ეს ვინ არი“?!
შეუკიდა ცეცხლს და უცბად
გამოაღო ფაცხის კარი.

გავიდა და შემოუძღვა
ფეხებამდე დასველებულს,
მიიყვანა ცეცხლის პირად,
უდგამს სამ-ფეხ სკამს, დაღალულს.

ხმას არ იღებს ჯერ სტუმარი,
ნაბდის თასმებს ნელა იხსნის;
თავ-პირი აქვს შებურვილი
ჩაბალახით და იცინის!..

ჯერ ნაბადი მიაყუდა,
ბნელ კუთხისკენ მიდგა წყნარა
ჩაბალახი რომ გადიძრო,
მოტრიალდა უკან ჩქარა.

— მასპინძელო! სიცილით თქვა,
წახდა ჩემი ხუმრობაო!..
ვერ მიცანი, თუ გეწყინა
ეს უდროვო სტუმრობაო?

— საფარ! შენ ხარ?.. ენაცვალოს
ძიძის შვილი მაგ შენ თავსო?..
ეს თვალები რაღას ნახვენ
შენს უკეთეს სანახავსო?

მოეხვია, გადაჰკოცნა,
როგორც ძმა და თვისი ტოლი
და მერე კი გააღვიძა
შიგნით მწოლი თვისი ცოლი.

შეეხვეწა: „აბა, ჩქარა
მოამზადე ვახშამიო:
შორი გზა აქვს გამოვლილი,
არ ექნება ნაჭამიო“.

— „არა, ბათუ, ვახშამს არ ვჭამ,
არ მცალია იმისთვისო!
მე სხვა მადა მაქვს აშლილი,
სხვა ნაირი გულის თქმისო“...

უპასუხა და მოუყვა:
— „მინდა გითხრა ჩემი ჭირი:
დღემდის მტკიცე პირიანსა,
დღეს მიტყდება, ძმაო, პირი!

„ალმასხიტს ხომ კარგათ იცნობ,
თავმომწონე ინალიფას?
მის ცხენსა და მის იარაღს
ვერ ვინ დადებს ღირებულ ფასს.

„ვაჟკაცია თვალ ტანადი,
ცხენოსანი უებარი!..
მეტოქეა ჩემი მხოლოდ
ერთად-ერთი, საშიშარი.

შორს გაისმის მისი ქება,
ჩვენშიც ხშირი სტუმარია;
ბიჭობით და სილამაზით
ქალებიც კი გადარია.

„ერთი მხოლოდ ზია-ხანუმ
არათ აგდებს, არც უყურებს,
რადგან იცის, რომ სხვებსავით
იმას ის ვერ იმსახურებს.

„ზია-ხანუმ, შენც კი იცი,
რომ შვენებით განთქმულია;
ბევრი კარგი ახალგაზდა
მისი ეშხით დამწვრულია! .

„მთვარესავით ხელ-უხლები,
სხივებს ჰფენს და არვის ათბობს;
მომხიბლავი შორეულად
თანასწორად ყველას აწვალებს.

„ჯერ დალალავს, მიიბირებს,
დაიმონებს, იგდებს ხელში,
მერე უნდა გამოსცადოს:
აგდებს თვისს მსხვერპლს განსაცდელში!..

„მეც მომხიბლა ჯადოსანმა,
დამამარცხა, დამიმონა...
და თუ ქალი მაჯობებდა,—
არ ვფიქრობდი, არ მეგონა...

„დამიჩემა: „თუ გიყვარვარ
და ხარ ჩემი მოგვარეო,
ინალიფას ლურჯი ცხენი
ამ სამ დღეში მომგვარეო“.

„ინალიფა თვისს ბედაურს
არ დაუთმობს ნებით გამჩენს
და თუ ვინმე ძალას იხმარს,
შეაკვდება, არ შეარჩენს!

„სხვა გზა არ მაქვს: მოპარვაა
მხოლოდ ერთად-ერთი ღონე,
თუმც კი სხვა დროს არ იკადრებს
ამას კაცი, თავ-მომწონე.

—„აი, რისთვის მოვსულვარ აქ,
ჩემო კარგო მეგობარო!
მე მინდა, რომ ალმასხიტის
ლურჯა-ლაფშა მოვიპარო“.

მოუსმინა ძიძის შვილმა,
ყველა კარგად გაიგონა,
მაგრამ საქმემ უკუღმართმა
შეაწუხა, დააღონა.

უთხრა:—ვწუხვარ, რომ ეგ საქმე
უკადრისი გიკისრია,
მაგრამ, რადგანც სიყვარულის
ტკბილი სენი შენც შეგყრია,

„გზა აღარ გაქვს!.. უნდა გული
დაუდვა და ემსახურო,
რომ სატრფოს წინ შენ სირცხვილის
ოფლი აღარ მოიწურო.

„მის ოცნებას, მის გულის თქმას
უნდა მიჰყვე, დაემონო,
გინდ სიცოცხლეც შენი ტკბილი
მწარე სიკვდილს შეუწონო.

„ეს შენც იცი,—არ ხარ ქვეყნის
უცადი და უმეცარი,—
სავაჟკაცოდ გამოსულხარ
უდრეკი და უშიშარი!

„მაგრამ მარტო უშიშრობა
ძლევისათვის არა კმარა,
თუ სიფრთხილეც გონივრული
დროზე მას არ დაეხმარა.

„ერთმანეთის მინამგზავსი,
შიში სხვაა, სიფრთხილე სხვა,
ისე, როგორც სხვა და სხვაა
ღვთის წყალობა და ღვთის რისხვა.

„რომ მიდიხარ, სად მიდიხარ?

ერ იხილავს ჩვენი მოღვაწეების საფ-
ლავს. ამიტომ, ჩვენის აზრით, ძლიერ
კარგი იქნება, თუ ჩვენს საყვარელ მგო-
სანს აკაკის ქალაქის შუაგულში ქვაშვე-
თის ტაძრის გალავანში დავკრძალავთ
და ქართულ პანთეონსაც იქ ჩავუყრით
საძირკველს, სადაც ყველას დიდსა და
პატარას, უცხოსა და შინაურს ადვილათ
შეეძლება ჩვენი სასიქადულო და საყვა-
რელი მამულიშვილების საფლავის ნახვა,
თორემ ვინ არ იცის, რომ დღეს მეტათ
გაბნეულია ჩვენი საუკეთესო მოღვა-
წეების საფლავები. მაგალითად, ნიკო-
ლოზ ბარათაშვილი, არჩილ ჯორჯაძე,
ალექსანდრე ხახანაშვილი, იაკობ გო-
გებაშვილი და სხვები დიდუბეშია და-
საფლავებული უბრალო მომაკვდავებთან
ერთად, ილია ჭავჭავაძე და დიმიტრი
ყიფიანი მთაწმინდაზე, აქვსენტი ცაგარე-
ლი და ნატალია ცაგარელისა კუკიის
სასაფლაოზე, დავით ერისთავი და გიგო
ჯარსაიძე კალოუბნის საყდრის გალავან-
ში, ა. ყაზბეგი მთიულეთში, ეგ. ნინო-
შვილი გურიაში, მამია გურიელი ქუ-
თაისში და სხვა და სხვა.

დიახ ქვაშვეთის ტაძრის გალავანი
ერთი საუკეთესო ადგილია ქართულ
პანთეონისათვის და თუ გვინდა, რომ
აკაკის საფლავი ყოველთვის და ყოველ
ჟამში ფართო მასსამ ნახოს და თაყვანი
სცეს, მაშინ ის მთაწმინდაზე კი არა
ქალაქის შუაგულში ქვაშვეთის ტაძრის
გალავანში უნდა დაიკრძალოს.

ვასილ მახხულია.

## პანაშვიდები აკაკის სუ-ლის მოსახსენებლათ.

ეს სამი დღეა ქუთაისში და მის ახლო
მდებარე სოფლებში დიდებული მგოსნის
აკაკის სულის მოსახსენებლათ პანაშვიდებს
იხდიან, რასაც დიდძალი ხალხი ესწრება.

27 იანვარს ქართულ გიმნაზიაში მო-
წაფეების მშობლების და მასწავლებლების
თანდასწრებით პანაშვიდი გადაიხადა დეკ.
. აბესაძემ, რომელმაც შესაფერი სიტყვა
წარმოსთქვა. ახალგაზდა მოწაფე-მწერლებმა
. მაჭავარიანმა და ს. წველმა ლექსები
წაიკითხეს. ამავე დღეს პანაშვიდი გადაი-
ხადეს ქუთ. კლასიკურ გიმნაზიაში და სხვა
სასწავლებლებში.

28 იანვარს დღის 6 საათზე საკათედრო
ტაძარში პანაშვიდი გადაიხადა იმერეთის
ეპისკოპოსმა გიორგიმ. ეს პანაშვიდი გა-
დახდილ იქნა აკაკის დასაფლავების მომწ-
ყობ კომიტეტის თაოსნობით, რასაც დიდ-
ძალი ხალხი დაესწრო. არამც თუ ტაძა-
რი ქუჩებიც კი ხალხით იყო სავსე. პანა-
შვიდის გადახდის შემდეგ დიდებული სიტყ-
ვა წარმოსთქვა ყოვლად სამღვდელო გი-
ორგიმ.

ამ პანაშვიდის გადახდის დროს ქუთა-
ისში ყველა სავაჭროები დაკეტილი იყო.

ამავე დღეს მთავარ-ანგელოზის ეკლე-
სიაში პანაშვიდი გადაიხადა გაზ. „შრო-
მის“ რედაქციამ და საეპარქიო ქალთა
სასწავლებელმა.

29 იანვარს, მთავარანგელოზის ეკლე-
სიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი წ. კ. გ.
ქუთ. განყოფილების, ეთნოგრაფიულ და
დრამატიულ საზოგადოებათა თაოსნობით.
ამ პანაშვიდს დაესწრო ქუთაისის ყველა
დაწესებულებების წარმომადგენელნი და
დიდძალი ხალხი. პანაშვიდის გათავების
შემდეგ წარმოითქვა სიტყვა.

პანაშვიდებს სოფლებიდან ჩამოსუ-
ლებიც ესწრებიან.

## ახალი ამბავი.

—:—

აკაკის გარდაცვალების გამო, 28 იან-
ვარს, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში
შესდგა ბანკის შემნახველ-გამსესხებელი
კასის მოსამსახურე წევრთა კრება. კრებამ
დაადგინა გადასდევან კასის წმინდა მოგე-
ბიდან 120 მანეთი განსვენებულის ძეგ-
ლისათვის ფონდის გასაძლიერებლათ.

✦ გუშინ, 29 იანვარს, მთავარანგე-
ლოზის იკლესიაში ქუთაისის დრამატიუ-
ლი საზოგადოებისა და დასის მიერ გა-
დახდილ იქნა პანაშვიდი ჩვენი ეროვნუ-
ლი სიამაყის აკაკის სულის მოსახსენებ-
ლათ. პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაე-
სწრო.

✦ გუშინ საურთიერო ნდობის საზო-
გადოების ბანკში დანიშნული იყო ქუ-
თაისის ვაჭართა კრება, დიდებული მგოს-
ნის აკაკის გარდაცვალების გამო.

✦ სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო
ბანკის ზედამხედველი კომიტეტისა და
გამგეობის შეერთებულმა სხდომამ დაად-
გინა მგოსნის დასაფლავებაზე თფილისს
გაიგზავნოს ბანკიდან სამი წარმომადგე-
ნელი: ზედამხედველი კომიტეტიდან, გამ-
გეობიდან და მოსამსახურეებიდან თითო
კაცი. ამასთანავე კრებამ დაადგინა გა-
დასცეს 600 მანეთი დასაფლავების ხელ-
მძღვანელ კომიტეტს და მოხსენდეს
მომავალ საზოგადო კრებას, რომ ხუ-
თი წლის განმავლობაში ძეგლის ფონ-
დის გასაძლიერებლათ ყოველწლიურათ
გადაიდვას 300 მან. აგრეთვე გადაცვა-
ლებულის პატივსაცემლათ მიეცეს იმ
პირს წელიწადში 300 მანეთი პრემიათ,
ვინც დასწერს საქართველოს საუკეთესო
ისტორიას.

✦ დღეს, ქართველი სტუდენტების
მიერ, მთავარანგელოზის ეკლესიაში გა-
დახდილ იქნება პანაშვიდი დიდებული
მგოსნის, აკაკის სულის მოსახსენებლათ.

✦ ქუთაისის გუბერნატორს შინაგან
საქმეთა მინისტრისაგან დეპეშა მოუვიდა,
რომ რადგანაც ამჟამათ რკინის-გზის ვა-
გონების სიმცირეა ქუთაისის გუბერნიაში
მოსული ვაგონები უკან საჩქაროთ იქნეს
დაბრუნებულიო.

✦ როგორც გავიგეთ, ტიხონ ასათიანს
განზრახვა ჰქონია მოიწვიოს კინემატო-
გრაფის სპეციალისტი მხატვარი და გა-
დაალებიოს მგოსნის, აკაკის დასაფლავება.
ამ სურათების შემოსავალის 50 პროცენ-
ტი გადაიდება აკაკის ძეგლის ფონდის
გასაძლიერებლათ.

✦ ქალაქის გამგეობამ საზოგადო სა-
კრებულოს მამასახლისთა საბჭოს აცნობა,
რომ გამგეობამ საკრებულოს შენობის
1915 წლის ქირათ დაადგინა 4,000 მა-
ნეთი და სთხოვს მამასახლისთა საბჭოს,
რომ პირობით შეეკრას მას.

✦ დღეს, ქალაქის თეატრში, დრამა-
ტიული საზოგადოების ფონდის გასა-
ძლიერებლათ გაიმართება საღამო. საღა-
მოზე, სხვათაშორის, კიტა აბაშიძე წაი-
კითხავს რეფერატს, ახალგაზდა პელეტრის-
ტი ნ. ლორთქიფანიძე კი—თავის ნაწე-
რებს.

✦ გუშინ, 29 იანვარს, ქუთაისის
ქალ. პირველდაწყებით მესამე სასწავლე-
ბელში გადახდილ იქმნა პანაშვიდი აკაკის
სულის მოსახსენებლად. მღვდელმა ამბრო-
სი ფოფხაძემ გააცნო მოსწავლეებს ვინ
იყო აკაკი და რა ღვაწლი მიუძღვის მას
ქართველი ერის გათვითცნობიერებაში.

## ქუთაისის ქალაქის საბჭოს საყუ-რადღებოთ.

როგორც ქართულ გაზეთები გვაუწყე-
ბენ ქუთაისის საბჭოს, სხვათა შორის,
დაუდგენია: „ძვირფასი მგოსნის აკაკის
ხსოვნის აღსანიშნავათ ქუთაისის ერთ-
ერთ ქუჩას დაერქვას აკაკის სახელიო“.
ამის გამო ეგრეწოდებულ კაზაკოვის ქუ-
ჩის მცხოვრებთა თანხმობით მაქვს პატი-
ვი ვითხოვო, რათა ამ ქუჩას დაერქვას
სახელათ აკაკი წერეთლის ქუჩა. ამ ქუ-
ჩის ასეთი სახელის დარქმევა მით უმე-
ტეს სასურველია, რომ ამ ქუჩას და მის
ახლო მახლო მდებარე ადგილებს წინა-
თაც წერეთლის ქუჩა და ბაღი რქმევია.

ვ. მ.

## ო მ ი.

პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან.

**რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 27 იანვარი. ჩვენს პო-
ზიციებზე იერიშის მოსატანათ გერმანე-
ლებმა 25 იანვარის ღამეს კოზოვკართან
იწყეს თავის მოყრა დილით, 25 იანვარს,
დაიწყო მედგარი იერიში. პირველი რი-
გის ჯარისკაცების ამოწყვეტა ვერ აჩე-
რებდა მეორე წყებას. იერიშთან ერთად
მტერი მძიმე არტილერიით მოქმედებდა.
პირველათ გერმანელების მცირე რიცხვმა
შესძლო ვიაზნოს სიმაღლის დაკავება,
მაგრამ შეტაკებით ჩვენმა ჯარმა მალე
განდევნა ისინი სიმაღლიდან. დანარჩენი
იერიშები შეუჩერებლივ სწარმოებდა.
კაპიტან პოგრებნის ბატარეამ მტერი
დიდათ დააზარალა. საღამოთი გერმანე-
ლების მრავალრიცხოვანმა კოლონამ ჩვე-
ნი სიმაღლე დაიკავა. ამ დროს ჩვენი
ჯარი ეკვეთა მტერს. გაიმართა ხელჩარ-
თული სასტიკი და უმაგალითო ბრძოლა.
გერმანელები თავგანწირულათ იცავდენ
თავს, მაგრამ ჩვენ მაინც დავამარცხეთ
მტერი. სიმაღლის მთელი დაფენება და-
ხოცილთა გვამებით იყო მოფენილი.
მარტო ერთი ჩვენი ბატალიონის წინ
1000 ზე მეტია მოკლული. ჩვენმა ჯარ-
მა და მათმა უფროსმა და უნცროსმა
ხელმძღვანელებმა თავისი ხელოვნური და
მამაცური მოქმედებით მრავალრიცხოვანი
ჯარი მტრისა სასტიკათ დაამარცხეს,
კამიონთან ბრძოლის დროს ხელში ჩა-
გდებულ ნადავლთა შორის სამი პრო-
ჟექტორია. რავკაზე, რკინის გზის მახ-
ლობლათ და სკერნოვიცაზე, ჩვენმა ქვეი-
თა ჯარმა მარჯვეთა და მოხერხებულათ
მიიტანა იერიში მტრის თხრილებზე და
შესამჩნევათაც გაანადგურა. ჩვენმა მფრი-
ნავებმა რავთან გერმანელების ბარგს
ყუმბარები ესროლეს.

## სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრ. დეპ. სააგენტ.

**ტოკიო.** 28 იანვარი. იაპონიის პრ
დაჟინებით მოითხოვს აქტიურ გამ
სვლას ჩინეთის წინააღმდეგ იმ შემთხვე-
ვაში, თუ ჩინეთი იაპონიის მოთხოვნი-
ლებას არ დააკმაყოფილებს. მინისტრთა
საბჭომ გადასწყვიტა შემოიღოს უფრო
სასტიკი რეჟიმი გერმანელ და ავსტრიელ
სამხედრო ტყვეების წინააღმდეგ; მასთა-
ნავე სასტიკი თვალ-ყური ედევნოს გერ-
მანელ ქვეშევრდომებს
იაპონიიდან გასვლის
ფეხურზე წამოაყენა.

**პარიზი.** 28 იანვარი. რესპუბლიკის
პრეზიდენტი და მინისტრი მოქმედ ჯარში
გაემგზავრენ. იქ რამდენიმე დღეს დაჰყო-
ფენ.

**ლონდონი.** 27 იანვარი. „პრესბიურო“
იტყობინება, რომ ზარალი მტრისა,
სუეცის არხზე თავდასხმის დროს, გა-
ცილებით მეტია ვიდრე მოსალოდნელი
იყო. ბრძოლის ფრონტის დიდი სივრცი-
თოვის გამო შეუძლებელია მოკლულთა
რიცხვის გამორკვევა. ჩვენგან დამარ-
ხულია 500 და ტყვეთ წამოყვანილი
652. ოსმალები უკან იხევენ, ზოგიც
ჯარიდან გარბის. დიდმა სენიუსეტმა
გამოაცხადა თავისი გულისწყრომა ყალბი
ხმების გავრცელების გამო, რომლითაც
ცდილობენ ეგვიპტეში მას მთავრობის
ნდობა მოუსპონ. დაპატიმრებულია სულ-
თანი ალბარუტი და რამდენიმე აგიტა-
ტორი, რომლებიც ეგვიპტეს წინააღმდეგ
ამხედრებენ ხალხს.

**კოპენჰაგენი.** 27 იანვარი. ბერლინი-
დან იტყობინებიან, რომ დღეს პრუსიის
ლანდტაგის სხდომა დაიწყო. ფინანსის
მინისტრმა ითათბირა იმის შესახებ, თუ
როგორ უნდა მოეწყოს ხორბლის შეძე-
ნისა და დაფქვის საქმე.

## სიტყვიდან საქმისკენ.

თითქმის მთელი კაცობრიობა ომის
ქარ-ცეცხლშია გახვეული. ერთა შორის
ამ უმაგალითო შეჯახებას ბევრი, ჯერ
ჩვენგან დამალული შედეგი მოყვება. რო-
მელიც ძირიან-ფესვიანად შესცვლის არა
მარტო ევროპის პოლიტიკურ რუკას, არა-
მედ მთელ ევროპაში მცხოვრებ დიდსა
და პატარა ერების ცხოვრების პირობებ-
საც. ამის დამამტკიცებელია ყველა ის,
რაც ახლა ჩვენს გარშემო ხდება.

ბევრი დაიწერა, ბევრი ითქვა წარსუ-
ლი ექვსი თვის განმავლობაში ამ უსა-
შინლეს და უდიდეს ომის შესახებ, მის
მიზეზებზე და მის შედეგზე. ბევრი რამ
არივ-დარია, ბევრი, თითქმის ჭეშმარიტე-
ბანი, გააბათილა მან და ბევრი გუშინ
უფერული, თითქო უნიადაგო და არა-
ღირსშესანიშნავი მცნებანი პირველ სა-
ფეხურზე წამოაყენა.

ყოველივე საზოგადოებრივი ჯგუფი,
თუ კლასი თავის სოციალურ-პოლიტი-

---

მართალია, გიჟრის თვალი,
მაგრამ ჩვენში, როგორც უცხოს,
აგებნევა გზა და კვალი.
„შენ ეგ საქმე მე მომანდე,
მე ვიზამ შენს მაგივრობას:
ან მოგიყვან იმ ცხენს, ან თავს
შევწირავ შენს მეგობრობას!
„შენ აქ დარჩი, დაიძინე,
გამოშუშდი ცეცხლის პირას!..
და თუ დამრჩა გამარჯვება,
მაშინ მოგთხოვ ფეხის ქირას“.
გაეხუმრა, გამოეწყო
სამგზავროდ და გავლო კარი.
მიდის, ელვა გზას უნათებს
და დაზუის თავზე ქარი.

III.

ირაჟრაჟა, ქარი ჩადგა,
გადიყარა, დადგა დარი;
ლურჯს ბედაურს მოაგელვებს
მეგობრისთვის მეგობარი.
მოიყვანა, დააბა და
შინ შევიდა წყნარად, ფრთხილად,
გრძელ ნაბადში გამოხვეულს
სტუმარს სძინავს იქვე თბილად.
აუარა გვერდი, მიდის
იქ, სადაც ის ეგულება,
ვინც სიცოცხლეს ურჩევნია
სულს სწირავს და თავს ევლება.
გულში ამბობს: „ერთს დავხედავ
ტკბილად მძინარ ნაზი-ბროლას,
თუ გაუძღელ გულის ძგერას,
სულის ბრუნვას, ხორცის ჟრჟოლას“...
სალოებით შედის ქვაბში
და რას ხედავს ის საკვირველს!!
ნაზი ბროლა ჩუმად ტირის,
პირს იხოკავს, იკაწრავს ყელს!..
თმა გაშლილი, ტინის კედელს
თავს ახლის და ხმას არ იღებს...
მინგრეულს და მონგრეულსა
ხედავს იქვე მის ქვეშაგებს!!.
მიხვდა ქმარი, რაც მომხდარა,
ზარმა დაჰკრა, ელდა ეცა!..
და რომ კრინტიც არ დაუძრავს,
იქვე უხმოდ ჩაიკეცა.

დიდ ხანს იჯდა რეტ-დასხმული,
უყურებდა ცოლის ტანჯვას;
ბოლოს ღონე მოიკრიფა
და მოეგო ისევ ჭკუას.
მივიდა და უთხრა მტირალს:
—„ჩუ, ნუ ტირი გენაცვალე!
რაც გინახავს—სიზმარია,
დაივიწყე ისევ მალე!
„ყოველ გვარი მოსავალი
კაცის თავზე უნებური,
ღვთის რისხვაა, ტყუილად ბედს
რას უჩივი რად ემდური?
„გადაიგდე გულიდან ეგ
ცრუ ზღაპარი და სიზმარი!..
მე და შენი სიყვარული
წმინდა არის, ვით ლამპარი“.
მოეხვია და ცრემლები
ამოუშრო თვალში კოცნით,
დააწყნარა, დაამშვიდა
ალერსით და ბევრი ხვეწნით.
მაშინ მხოლოდ გამობრუნდა
სტუმრისაკენ და უთხრა ე:
„ადე, ძმაო, გაღვიძებას
არ აპირებ მგონია დღეს!“
წამოვარდა ზეზე საფარ
შემკრთალი და დარცხვენილი!..
მაგრამ, როცა მშვიდ სახეზე
შეამჩნია მას ღიმილი,
გაიფიქრა: „მადლობა ღმერთს!
არაფერი შეუტყვია,
თორემ გულ-მკერდს გამიხვრეტდა
ხანჯლის წვერი და ან ტყვია!
„არ უთქვამს ქალს, რაც შევცოდე,
ჩანს, ნამუსი შეუნახავს.
ჩემ საქციელს სამარცხვინოს,
ვინ გაიგებს, ვინ დამძრახავს?
მერე უთხრა თვისს ძიძიშვილს:
—„გატყობ, რომ ხარ კმაყოფილი,
შესრულე განა ჩემი
ძნელი ნატვრა და სურვილი?“
—„შევასრულე: მოგიყვანე,
დროა, აწ კი გაეშურე!
ნუ დამძრახავ, საკადრისად
თუ რომ ვერას გემსახურე!

ხან ესა სთქვეს, ხან ისა თქვეს,
ისაუბრეს ჯერ ერთ-ხანად,
მერმე წყალიც მოუტანა
მას ხელ-პირის დასაბანად.
გამოაწყო, არ დააკლო,
რაც წესია. სამსახური,
რომ სტუმარი არ გაუშვას
გულნაკლი და უმადური.
შეუკაზმა ცხენი, შესვა
თვითონ შეჯდა ნაჭურდალზე
და ორივემ მათრახები
აწკაპუნეს ერთხანს ძალზე.
გაახურეს მით ცხენები,
აალევეს,ააჩქარეს
და ვიწრო გზით ის დაღმართი
სულ კუნტრუშით ჩაატარეს.
რომ ჩავიდენ შორი ახლოს
მინდვრის პირათ, იქვე დაბლა,
მასპინძელმა შეაჩერა
ცხენი და ხმა აიმაღლა.
— „საფარ-ბეგო! პირშაობა
შენი ვიცი, შემიტყვია!..
და დღეიდან ჩვენ ორ შუა
მოციქული არის ტყვია!
„არა თქვა რა!.. არც მე გკითხავ:
არის ზოგი შეცოდება,
რომ სათქმელათ საძნელოა...
არც შენდობა უხერხდება!
ახლა წადი! დამეკარგე!
ფრთხილად არსად შემეყარო,
რომ ცუდ გულზე უცაბედათ
შენი სისხლი არ დავღვარო!“
ეს რომ უთხრა, შეკრთა საფარ,
გაშრა, ფერი დაედვა მკვდრის,
ჩაუვარდა ენა პირში,
გაქვავდა და აღარ იძვრის...
ძლივს წარმოსთქვა: „მართალი ხარ!..
აღარა მაქვს მე სათქმელი!..
შემაცდინა თვით ეშმაკმა
და დამრია ცოდვილს ხელი!..
„შენი ტყვე ვარ!.. ჰა, ხომ ხედავ,
იარაღი დამიყრია...
სასიკვდილოდ ჩემი ნებით
შენ წინ თავი დამიხრია...

„ჩემ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს,
მომკალ... ტანჯულს რამ მიშველე,
მაზღვევინე, რაც შეგცოდე,
სინდისი გამიმართლე“!..
— „არა! შენ ვერ შეგეხება
სასიკვდილოდ ჩემი ტყვია:
დედი ჩემის გაზდილი ხარ,
მისი ძუძუ გიწოვია...
„რაც ქვეყანას მიაჩნია
რჯულზე უფრო უმტკიცესად,
რომ გატეხე, ის გეყოფა
სიკვდილამდე შენ საკვნესად.
„წადი ჩემგან შენდობილი,
მაგრამ შორს კი... და მშვიდობით!..
დღეიდან ჩვენ წმინდის გულით
ერთმანეთს ვერ მივენდობით!
„მაგრამ ერთს კი დაგავალებ,
ამისრულე უეჭველად:
რომ მიხვიდე ყაბარდოში,
იცოდე, რომ სულ პირველად
წადი, ნახე ის მოძღვარი,
ვინც შვილივით გამოგზარდა
და უთხარი შენი პირით,
რაც სირცხვილი დაგემართა“.
გადმოხტა და ლურჯი ლაფშა
მისცა ხელში, ჩააბარა,
მოტრიალდა და აღმართი
ძლივს ბარბაცით აიარა.

IV

არც გვარით, არც ვაჟკაცობით,
არც სიმდიდრით, არც ქონებით,—
ჰაჯი-უსუბ ცნობილია
მხოლოდ ჭკუით და გონებით.
ჭირში, ლხინში საზოგადოთ
უმისობა არ იქნება;
ხელისგულზე უწერია
თვით მაჰმადის წმინდა მცნება.
ზღვა და ხმელი მოვლილი აქვს,
მნახველია ცა და ქვეყნის;
ჯერ ისევე ჰარმაგია,
თუმცა არ არის კი მცირე ხნის.
ხელ ფეხს ერჩის, თვალსაც უჭრის,—
არ ტყუილი ქადილია;
სადაც კია გვარიშვილი,
ყველა მისი გაზდილია.
საფარ-ბეგიც მან გაზარდა,
ისე, როგორც სხვები ყველა,
მაგრამ მარტო წრთვნა რას იზამს,
თუ ბუნებამც არ უშველა?
აი, სწორედ ამ უსუბთან
მიდის ეხლა საფარ ბეგი,
„მორდუობის“ გამტეხი და
ჩვეულების გადამგდები.
ეუბნება ყოველიფერს,
უნებურად რაც შეემთხვა;
ცრემლები სდის და ეჩრება
ბურთად ყელში მწარე სიტყვა.
ყურს უგდებდა ჰაჯი-უსუბ,
სახე მოინაღვლიანა;
სიდიადე ამ მუხთლობის
თვალწინ გაისიგძეგანა.
ოხვრით ჰკითხა: „მერე? მერე?
რომ გაიგო, რა თქვა ქმარმა?“
—„მაპატივა შეცოდება,
როგორც ძმამ, და მეგობარმა!..
„მხოლოდ ეს კი დამავალა:
ნახე შენი გამზდელიო
და მაგ შენი საქციელის
პასუხს მისგან მოველიო“.
—„მესმის, მესმის და პასუხიც
ჩემი მხოლოდ ეს არიო,
რომ ნამუსის გასაწმენდად
ჩემი ხელით სისხლს დავღვრიო!..“
შეაყენა ზედა ფეხზე
მან დამბაჩა გატენილი;
მორჩილებით გულ-მკერდს უშვერს
საფარ, მისი გამოზდილი.
მაგრამ უსუბ ეუბნება:
—„შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზდიხარ!“
წარმოთქვა და საფეთქელში
მიიჭედა ცხელი ტყვია!..
ჩაიკეცა, სულთან მბრძოლი
წამლის კვამლში გაეხვია..

აკაკი.

კურ ადგილის მიხედვით, თავის საკუთარ დიაგნოზს სვამს და, რასაკვირველია, თავის ინტერესებით ნაკარნახევ შედეგებს მომავალში დიდი იმედებით შესცქერის. მხოლოდ ერთი რამ იქცევს, ვგონებ, ყველას ერთნაირ ყურადღებას და აიძულებს მას ანგარიში გაუწიოს. ეს გახლავთ ძველი ნაცნობი ზოგიერთებისაგან, აქამდის დიდათ არა პატივცემული, ეროვნული საკითხი.

ანტი გერმანულმა კოალიციამ მთელი კაცობრიობის წინაშე ააფრიალა დროშა, რომელზედაც,—ექვი არ არის—გულწრფელად დააწერა:—ერთა შორის ძმობა, და ყველა ჩაგრული ერების დაცვა თავის სამარ ლოზუნგად გაიხადა. როგორც არა ერთხელ ოფიციალურად გამოუთქვამსთ, იგი თვით გერმანელებს პირდება განთავისუფლებას და ებრძვის მხოლოდ სულთამხუთავ მილიტარიზმის სულის ჩამდგმელებს—ვილჰელმს და მის იუნკრებს. არა ნაკლებ კეთილ დღეობას პირდება კაცობრიობას მომავალში თვით გერმანია, მაგრამ ყველა, ამით თავს არავინ იტყუილებს. ფრაზები ეხლანდელ პირობებში ცოტა რამე აკეთებენ!

ყველასათვის ცხადზე უცხადესია ამ საშინელი ომის ამამოძრავებელი მიზეზები. ეს გახლავთ, თავისთავად ნათელი მეტოქეობა (კონკურენცია) მძლავრი ერებისა მსოფლიო ბაზარზე და იქ ეკონომიური ინტერესების შეტაკება ეხლანდელ საზოგადოებრივ ეკონომიური პირობების გამო.

ასეა, თუ ისე, ნებსითია თუ უნებლიეთ ეროვნული საკითხი ასე მკაფიოდ არ ყოფილა არასოდეს წამოყენებული კაცობრიობის წინაშე. ბევრის აზრით მხოლოდ ახლა დადგა ხანა ახალი სახელმწიფოების შექმნისა ეროვნული პრინციპის მიხედვით და თითქმის ყველა ეროვნებათა იდეალების განხორციელებისა. შეიძლება ყველა ეს ცოტა გადაჭარბებულიც არის, მაგრამ სრულებით უსაფუძვლო არ უნდა იყოს.

საბედისწერო საკითხი—რას გვიქადის მომავალი დღე, მგონია ყველაზე მწვავეთ ჩვენ ქართველების,—წინაშეა წამოყენებული და ჩვენი მომავალი ბედი გამოურკვეველია. ჩრდილივით თავს დაგვტრიალებს. მიმდინარე ცხოვრებამ ნათლად დაანახა ყველა იმას, ვისაც თვალები აქვს სამზერად, რომ ღრმა ისტორიული წარსულიდან აქამდინ მოსულს ქართველ პატარა ერს სრულებითაც არ სურს ღიდამ წის ზურგიდან აღგვა და მხოლოდ ეკონომიურ მასალად გადაქცევა ვის ხელშიაც უნდა იყოს. ამის მტკიცება, ვგონებ, საჭირო აღარ არის. ყოველივე მოვლენა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა დიდიდან პატარამდის, ამის დამამტკიცებელია. და თუ ეს ასეა, რაც უნდა უბედურება დაგვატყდეს, ჩვენი გულის გატეხა შეუძლებელი უნდა იქმნეს და ამასთან ერთად საბოლოდაც უნდა დავრწმუნდეთ,

მსოფლიოს ამ რყევაში ჩვენ ბედმა გვარგუნა სამთა შეთანხმების, კერძოდ რუსეთის, დროშის ქვეშ ბრძოლა და მასთან ერთად სისხლის ღვრა უკეთესი მომავლის შესაქმნელად. ქართველი ერი პირნათლად ასრულებს თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას და სისხლით რწყავს ბრძოლის ველს მტრის მოსაგერიებლად. პატარა ჩვენმა ერმა საბრძოლ ველად გაისტუმრა მთელი თავის ცოცხალი სამარი ძალა უყოყმანოდ, უცრემლოდ და უხმაუროდ. აქ იყო მხოლოდ სრული შეგნება ჩვეულებრივი თავგანწირვისა საერთო სამშობლოსათვის. ეხლა უკვე საყოველთაოდ ცნობილია, თუ ჩვენმა რამდენ ძმებმა უზრუნველჰყვეს შებღალვისაგან სამხედრო ისტორიაში ცნობილი სახელი ქართველისა! ჩვენ გვრწამს, რომ საერთო სამშობლოს საკურთხეველზე მიტანილი მსხვერპლი უნაყოფოდ არ ჩაივლის და ჩვენთვისაც ამოვა მზე სიხარულისა. ვინაიდან „ჩვენს თავზე მხოლოდ წისქვილის ქვა არ მოტრიალებულა“, თორემ სხვა ბევრი რამ გამოგვიცდია. დროა მხოლოდ მოვიკრიბოთ მთელი ჩვენი ძალღონე, რომ თავი დავახწიოთ იმ გამათახსირებელ „dolce far niente“-ს (ტკბილი უსაქმურება), რომელსაც არა ერთი, კლასი წოდება და მთელი ერიც კი ისტორიის ჯურღმულში გადაუსრია.

ბიოლოგიამ უწყის ერთი შესანიშნავი მოვლენა: თუ რომელიმე ნაწილს სხეულისას ხშირად ხვდება განიცადოს რაიმე, მთელი სხეულისათვის სახიფათო გარეგანი ზედგავლენა,—მექანიკური იქნება იგი, თუ ქიმიური, მაშინ თვით სხეული არსებობისათვის ბრძოლაში ჰქმნის ამ ხიფათის ამაცილებელ, საწინააღმდეგო ახალ თვისებას (признакъ), რომელიც მომავალ თაობას უზრუნველ ჰყოფ გადაშენებისაგან. თუმცა შეუძლებელია ყველა ბიოლოგიური კანონი გავხადოთ სოციოლოგიურადაც, მაგრამ ბევრი მათგანი „ზედგამოჭრილია“ საზოგადოებრივი სხეულისათვის. ზემოყვანილი კანონი, ჩემის აზრით, აუცილებელია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ვისაც სურს „თავს მოუაროს“ ერთი იქნება იგი, თუ ბევრი (ინდივიდი, კლასი, წოდება, ერი, ტომი) უნდა აუცილებლად მას „ფარიც“ ხელში უნდა ეჭიროს ამ არსებობისთვის ბრძოლაში, რომელსაც ისტორია ჰქვია. ეს უნდა ახსოვდეს ნამეტნავად მათ, ვისაც ჩვენსავით ბედი არ სწყალობს. თუ მოვიხედავთ, შევამჩნევთ, რომ სიცოცხლე შეურჩენიათ მხოლოდ იმათ, ვისაც გაჭირვებაში შესაფერი „ფარი“ უპოვია და ხელთ აულია. ამას ამტკიცებს, დევნილი ერების მაგალითი (პოლონელნი, ებრაელნი, სომხები და სხვა.) ჩვენ გვინდა არსებობა? მაშასადამე გაჭირვებაში, არსებობისთვის ბრძოლაში, შესაფერი „ფარიც“ ხელთ უნდა გვქონდეს, ვინაიდან, „დროზე ნათმარი ფარიცა, იგივე ხმალი არის“ (ლიტ). მარტო ცალიერი რაინდობით დღევანდელი პირობების ფონს ვერ გავუვლით. დრო სხვას გვიკარნახებს და ჩვენ მოვალენი ვართ ეს არა მარტო შევიგნოთ, არამედ შეგნებული დაჟინებით განვახორციელოთ. დიახაც, რომ ჩვენი მდგომარეობა შეგნებული გვაქვს უკვე (ნაწილობრივ მაინც!), ვიცით აგრეთვე ის „ფარი“, რომელიც შეგნებასთან ერთად უზრუნველჰყოფს ჩვენს სოციალურ არსებობას. მკითხველი უკვე მიმხვდარია ამ „ფარის“ სახელსაც, ეს გახლავთ ერის ეკონომიურად აღორძინება და მისი შეუფერხებელი განვითარება. ყველამ ვიცით, რასაკვირველია, რომ ახალი ამ სიტყვებში არაფერია. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ ეს არ ახალი—ძველი, დროებითაც არ იქნეს დავიწყებული ამ უმაგალითო კაცობრიობის უბედურების დროს, რომელსაც დაანათლიავეს სახელად „საერთაშორისო ომი“. პირიქით, ახლა მეტათ გვმართებს სიფხიზლე და მთელი დარჩენილი ძალის ამოძრავება უკეთესის შესაქმნელად. ღმერთო ჩემო, ნუ თუ შესაძლობია ჩვენს ყოველმხრივ დაჯილდოვებულს სამშობლოში, მშობელი ერი ასეთ ეკონომიურ დაქვეითებას განიცდიდეს? სამწუხაროდ ეს ასეა და ახლანდელი პირობების გამო მდგომარეობა უფრო სახიფათო ხდება. მაშ, რავქნათ, რაშია ხსნა? ამაზე შემდეგ.

**მ. გაგაშელი.**

# თეატრი და ხელოვნება.

**დ. ლანჩხუთი** (გურია). 24 იანვარს ად. თეატრში ქ. მ. კაჭარავას მეთაურობით, ომში დაჭრილ ქართველ მეომართა სასარგებლოთ გაიმართა წარმოდგენა წარმოადგინეს „ხანუმა“ კომ. 4 მოქ. ა. ცაგარლისა. „ხანუმა“ კარგათ დაგვიხატა ქ. მ. კაჭარავამ, რომელმაც მოლოდინს გადააჭარბა.

მოისუსტებდა ქ. ს. ანთაძე „ქაბატუას“ როლში.

ქ ნ. კანდელაკმა (სარა) თამამათ დაგვარწმუნა, რომ მასში საკმაოდ მოიპოვება ნიჭი სასცენო ხელოვნებისა, თითეულ მის ფეხის გადადგმას ეტყობოდა მომზადება და შეგნება იმ როლის მნიშვნელობისა, რომელსაც თამაშობდა ის.

მშვენიერი იყო დ. გო—ლი (აკოფა). მისი მომხური მიხვრა მოხვრა, ხმა, მიმიკა და და სხვა ხშირად გვაგონებს ჩვენს ნიჭიერ მსახიობს ვასო აბაშიძეს.

არა უშავდა კ. ჟღენტს (კოტე). მხოლოდ, თუ ხანდისხან სცენაზე თავს უხერხულათ გრძნობდა—ეს იმიტომ, რომ შეუსაბამო როლი ქონდა აღებული ამ საღამოს.

დანარჩენი მოთამაშენი საერთოდ ანსამბლს ხელს უწყობდენ. მხოლოდ ზოგიერთს როლის უცოდინარობა ეტყობოდა, რაც არა სასიამოვნო მოვლენაა და იმედია, კვლავ ამ ნაკლულოვანებას შეავსებენ. პიესამ საერთოთ კარგათ ჩაიარა.

**სკოკი.**

# პასუხად ბ-ნ „მოკეთეს.“

„იმერეთის“ № 16-ში ბ. „მოკეთე“, გამოსთქვამს რა მწუხარებას ქუთაისში შაქრის კრიზისის გამო, ბრალს მდებს მე, როგორც კომისიის წევრს, ვითომც დაუდევრობა გამეწიოს და საზოგადოებას ეუბნება: „კომისიის წევრი ქებაძე ფაციფუცობს, იკვლევს და ეძიებს, მაგრამ იქ კი არ ეძებს, სადაც საჭიროა—არამედ იქ, სადაც არაფერია და არა დარჩენია რ. ო.“

ბატონ „მოკეთის მოკეთეს“ ამაზე მოვახსენებთ:

1. მე დაუდევრობა არასოდეს არ გამომიჩენია. ამას გიმტკიცებ იმითი, რომ რა დღესაც ამირჩიეს კომისიის წევრათ, იმ დღესვე დავიარე მედუქნეები და ასე გასინჯეთ სახლებიც კი (ამისთვის ქალაქის თავთანაც კი მიჩივლეს) აღმოვაჩინე საკმაო ფქვილი, დავურიგე მეფურნეებსა და მეთონეებს და ამრიგათ პური გავაჩინე ქალაქში.

მეორე დღეს შევუდექი შაქრის აღმოჩენას და ბ. „მოკეთე“, ვისაც თქვენი წერილით მოკეთეობთ, დიახ, იმ ვაჭრებს აღმოაჩნდათ დიდძალი შაქარი და მცხოვრებლებს კი არ აძლევდენ და არც ქალაქის საავადმყოფოს, რისთვისაც ოქმიც შევუდგინეთ. ესენი მაშინაც ბრალსა მდებდენ, ვითომც მე მტერობით გამომექვეყნებინოს პრესაში, რისთვისაც გამოვიწვიე სამედიატორო სამართალში, მაგრამ მტყუანი რომ იყვნენ, აღარ გამოცხადდნენ.

2. წავედი ბათუმს, მოვიტანე სამი ვაგონი შაქარი და როგორც მცხოვრებლებს, აგრეთვე ქუთაისის ვაჭრებს დაურიგე ფუთზე აბაზის მოგებით და რომ ბოროტება მეხმარა, ფუთზე მანეთსაც მოვიგებდი და გვარიან გროშებსაც ჩავიჩხრიალებდი.

3 კომისიის ყოველ კრებაზე რაც ძალი და ღონე მაქვს ვებრძვი უსამართლობას და ნიხრის მომატების სურვილს. (იხილეთ ჩემი წერილები „იმერეთში.“

რაც შეეხება შაქრის დღევანდელ კრიზისს, ჩემს „ფაცა-ფუცას“ და კვლევა ძიებას, მოგახსენებ ბ. „მოკეთის მოკეთე“, რომ თქვენგან დასახელებულ ვაჭრებს, თუმცა ისინი ჩემი მოსისხლე მტრები არიან ვაჭრობის ნიადაგზე, მაგრამ არ შემიძლია მართალი არ ვთქვა და არ ვილაპარაკო შემდეგი:

მართალია, თქვენგან დასახელებულმა ვაჭრებმა დეკემბერსა და იანვარში 400 ფუთი შაქარი მიიღეს, მაგრამ მათ სხვებივით არ გადუმალიათ, ეს ფირმა ყველას აძლევდა შაქარს და ნიხრს ზევითაც არ ყიდდა.

რაც შეეხება შაქრის პროვინციებში გაგზავნას, მე არ მჯერა რომ მათ საგრძნობელი წონა გაეგზავნოთ და თუ თქვენ შეგიტყვეთ ბ. „მოკეთევ“, რომ ეს ფირმა ას ფუთობით ყიდდა შაქარს სოფლელებზე, (მე ხომ გულთმისანი არ ვიყავი) გექნათ სიკეთე ქალაქისათვის შეგეტყობინებიათ. ზემოთ დასახელებულ ფირმის კი არა ვიცი რა, მაგრამ ის კი მართალია რომ თქვენი მოკეთენი ბასილაძე და კ ლასონია უმალავდნენ შაქარს აქაურ მცხოვრებლებს (საავადმყოფოს და ფერმის შკოლას) და სოფლელებზე ნიხრზე ზევით ჰყიდდენ. ამას პოლიციის ოქმებით დავამტკიცებ, ვინაიდან ეს ოქმები ჩემის თანდასწრებით შედგა.

გარდა ამისა, რომ მე პირნათლათ ვასრულებ ჩემს მოვალეობას, როგორც კომისიის წევრი, ერთ დღეს, როცა შევხედე ქალაქში შაქრის სიცოტავეს, წავედი ბათუმის კომენდანტთან, ავიღე ნება, ჩამოველ იქიდან, ბ. ლინევიჩიდან მოვითხოვე ვაგონი და კაცი გავგზავნე, მაგრამ ვინაიდან ბათომშიაც შაქარი ცოტა აღმოჩნდა, კომენდატმა შაქარი არ მოგვცა და ხარჯი ხარჯათ კი გავსწიე.

რა ვქნა სხვა ბ. „მოკეთე“? ან ახლა რას იტყვით: „მიფაც-ფუცია“ თუ მიმუშავნია?

დასასრულ ბ. „მოკეთევ“ ვსპობ თქვენთან პოლემიკას და გიწვევთ სამედიატორო სამართალში. თუ დამიმტკიცებთ ჩემს უმოქმედობას და მარტო „ფაცაფუცს“ გადავიხდი—ჩვენი სასიქადულო მგოსნის ფონდის სასარგებლოდ 100 მან. და თუ ვერ დამიმტკიცოთ, თქვენ გადიხადეთ მხოლოდ 50 მ. აგრეთვე კიდევ განმეორებით ვიწვევ სამედიატორო სასამართლოში თქვენს მოკეთეებსაც ბ. ბასილაძეს და კლასონიას და თუ ვერ დამტკიცებ რასაც წინათ ვაბრალებდი, მე გადავიხდი თფ. ქარ. თეატ. ფონდის გასაძლიერებლათ ნაღდათ 1000 მან., (ეს ცარიელი სიტყვები არ გეგონოთ!) ხოლო თუ ისინი გამტყუნდენ, გადაიხადონ მხოლოდ 500 მან.

ვადას გაძლევთ ორი კვირისას, დღიდან გამოცხადებისა და როცა თანხმობას გამოაცხადებთ, მედიატორებსაც დ ვნიშნავ

**დათიკო ქებაძე.**

## მატარებელთა მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია ქუთაისის საათით)

**ქუთაისში მოდის:**

| | |
|---|---|
| თფილისიდან | 5 ს. 50 წ. დილ. |
| | 11 ს. 30 წ. ღამ. |
| ბათომიდან | 10 ს. 5 წ. [illegible] |
| | 2 ს. 23 წ. ღამ. |
| ფოთიდან | 10 ს. 30 წ. დილ. |

**ქუთაისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| თფილისში | 7 ს. 55 წ. დილ. |
| | 1 ს. 7 წ. ღამ. |
| ბათომში | 10 ს. 7 წ. საღ. |
| | 4 ს. 27 წ. დილ. |
| ფოთში | 4 ს. 14 წ. დღ. |


**ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია მ. ბ. კვინიხიძის**

# უფლებებით.

თფილისის ქუჩ. და ობორინის შესახვევში კუთხე. მოწაფეების მიღება დაი[illegible] 12 იანვრიდან. სწავლის ფასი უფლების გამო არ მომატებია. თავისუფალი ად[illegible] ლი ყველა კლასშია. სასწავლებელს აქვს საანბანო განყოფილებაც, რომელ[illegible] მიიღებიან მოუმზადებელი ბავშები. თ.

**თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება . . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი შკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ.
„ იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„ იგივე, ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი. შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона Божія . . 20 кап.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . . . 35 კაპ.

**აქვე იმყოფება საჭიროები შე[illegible] დეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და შკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა ს. და ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით . 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი,) პირველდაწყებ. დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ[illegible] ლიტერატურის შესახებ. ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე. ტ. II. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., ყდით . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკოლაძე. ჩემ პოლიტ. 10 კ.

**რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.**

ქ უ თ ა ი ს შ ი

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი საბუღალ. კურსები

# გ. გ. ბიბინეიშვილისა

1915 წლის იანვრიდან კურსებზე იხსნება მეორე—პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიშში. **კ უ რ ს ი ა თ თ ვ ი ა ნ ი ა.**

**ს წ ა ვ ლ ი ს ფ უ ლ ი ა ს ი მ ა ნ.**

თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).
კურსების გამგე **გ. გ. ბიბინეიშვილი.**

ფოთის ახალ მაღაზიაში **„უ ნ ი ვ ე რ ს ა ლ“**

**ქარვასლის ქუჩაზე, პროვოდნიკის პირდაპირ**

მაღაზიაში **ი ყ ი დ ე ბ ა** მაღაზიაში

**უკანასკნელ მოდების, გალანტერეიის, ფეხსაცმელებისა და ხელსაწარმოების საქონლები:**

სხვა და სხვა კრუჟევა, ტილოები, ვსტავკები, საყელოები, აგრამანტები, ფოლაქები, ვიშივკები, ცხვირსახოცები, ჩულქები, ფუფაიკები, ხელთათმანები, კაცის პერანგები და საყელოები, კორსეტები, ხალათები, იუბკები, ქალების, ბავშებისა და მოწაფეების შლიაპები და ბევრი სხვა საქონელი.

რადგანაც დუქანში ბევრი ადგილი აღარ გვაქვს ქალების შლიაპებზე და შეკერილ საქონელზე ფაბრიკის ფასი. **დ ა კ ლ ე ბ უ ლ ი ა 50%**

თ. **პატივისცემით აინბინდერი.**



**ვაუწყებთ პატივცემულ მყიდველებს,**
რომ მე გავეყარე **ნ. ს. ტერკის ფირ**მას და გავყსენი სასტუმრო „ლონდონის პირდაპირ.



# ს ა კ უ თ ა რ ი მ ა ღ ა ზ ი ა;

ჩემი დიდიხნის გამოცდილება და ცოდნა შემლებას მაძლევს სხვა ფირმებზე უფრო იაფად გავყიდო და სინიდისიერათაც შევასრულო ყოველნაირი სამუშაო, რაშიც პირადათ დარწმუნდება მყიდველი.



მისამ. წერილ. და დეპეშ. **ქუთაისი. აბრამ ტერკი.**

# კალიგრაფიის (ლამაზი და ჩქარი წერის) კურსები.

**(ნებადართულია მთავრობისაგან)**

**ვ უ ს წ ო რ ე ბ** წერისხილს და აგრეთვე ვასწავლი პირისპირ და დაუსწრებლათაც: კალიგრაფიას, ჩქარ წერას, ვინიეტებით წერას რონდშრიფტს, გოტიურ-წერას და შტაილშრიფტს ლამაზ მხატრობიანს; აგრეთვე ვამზადებ კალიგრაფიის მასწავლებლობისათვის.—სამსახურში შესასვლელათ, ვასწავლი საკანტორო კომერციულ ჩქარ-წერას და ყოველგვარს აუცილებელ ნიმუშს, წესრიგსა და შრიფტს.—სულ უსწავლელს 15 გაკვეთ. ვასწავლი ლამაზ წერას და ნაწერების წაკითხვას; აგრეთვე ვასრულებ

**ადრესების, დიპლომების და ხელმწიფის**

თუ საზოგადოთ უმაღლეს პირთა სახელზე თხოვნების წერას.—კალიგრაფიის კურსებზე შემოსვლა ორივე სქესის ყოველი ასაკის პირებს შეუძლიათ, 8 წლიდან დაწყებული, ვიდრე ღრმა სიბერემდი. საღამოის კურსები 4 საათ. 9-მდი.

კალიგრაფიის მასწავლებელი **ი ვ. მ ი ხ. ც ი ნ ც ა ძ ე** კაზაკოვის ქუჩა., სახლი 18.